ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 30 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: რ. გვარამია, შ. ჭილაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მისი აზრით ცვლილების მუხლის ფორმულირება უნდა შეიცვალოს და ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს საჯარო რეესტრისთვის პირის გარდაცვალების ან ბავშვის დაბადების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უნდა წარმოეშვას იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ ფაქტს არ ესწრება უბნის ექიმი.

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ცვლილებები შეეხება დაბადების (თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე) რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვას, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენას და პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის

ვალდებულებას.ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, გამგებლის ბრძანებით კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაბამისად დაეკისრა ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ცატავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ცატავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებლებს დაევალათ ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უფლებამოსილი პირების განსაზღვრა და გამგეობის მოხელეებისთვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრება, კერძოდ: ცვლილებები შეეხება დაბადების (თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე) რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვას, პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენას და პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულებას.ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 ივნისის №01-347-07 ბრძანებით, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები დაეკისრა ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს, რის საფუძველზეც, ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლითაც გამგებლის წარმომადგენლის უფლებამოსილებებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დადგენილების პროექტით ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" უკანასკნელ თვეებში განხორციელებული ცვლილებების ასახვა, კერძოდ: გამგებელს ეძლევა უფლებამოსილება მოახდინოს თანამდებობის პირებისთვის ან სხვა მოხელეებისთვის უფლებამოსილების დელეგირება კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ შემთხვევაშიც. ასევე, გამგებლის უფლებამოსილებად განისაზღვრა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან/და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების (მათ შორის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების) მიზნით კომისიების შექმნა, რომელთა უფლებამოსილება და საქმიანობის წესი რეგულირდება კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით ან/და კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ზემოთაღნიშნული ცვლილებით გამგეობის თანამდებობის პირების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალშიც ხორციელდება ცვლილება და ჩამონათვალს ემატება თანამდებობის პირის (მოხელის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება (თანამდებობის პირებისთვის ან სხვა მოხელეებისთვის უფლებამოსილების დელეგირებისას კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ხოლო დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების (მათ შორის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების) მიზნით შექმნილი კომისიების შემთხვევაში - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - განკარგულება. შესაბამისად, დებულებით ახლად განისაზღვრება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (მოხელის ბრძანება, კომისიის განკარგულება), გასაჩივრების პროცედურაც. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ბ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N18 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რატომ ხორციელდებოდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში საყოფაცხოვრებო შენობის მე-2 სართულზე მდებარე 12 კვ.მ ფართის გაიჯარება ამ თანხით და რა კრიტერიუმით განისაზღვრა აღნიშნული პროცენტი?

მ. რუხაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული შენობის პირველი სართული გაიჯარებულია საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ქონების საბალანსო ღირებულების 40%-ის ფარგლებში, ხოლო რადგან ეს ფართი მეორე სართულზეა, მიზანშეწონილად ჩაითვალა ფართის შენობის საბალანსო ღირებულების 30%-ით გაიჯარება.

ლ. ქავთარაძე, რ. გვარამია - გამომსვლელები დაეთანხმნენ გამგეობის წინადადებას წარმოდგენილ ფასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საფუძველზე ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში საყოფაცხოვრებო შენობის მე-2 სართულზე მდებარე 12 კვ.მეტრი ფართის აუქციონის წესით გაიჯარება. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ბ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N39 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ქალაქ ხობში საფეხბურთო მოედნის რეკონსტრუქციისას ტრიბუნის ნაწილის დემონტაჟიდან მიღებულ იქნა დაახლოებით 130 ტონა მეორადი შავი ლითონის ჯართი, რომლის გარკვეული ნაწილის გამოყენება შესაძლებელია მეორად სამშენებლო მასალად, აუდიტის დასკვნის საფუძველზე 1 (ერთი) კგ ჯართის საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 14 (თოთხმეტი) თეთრი. ამასთან ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აუქციონის წესით პრივატიზებულ იქნას ორი ერთეული სატვირთო ავტომანქანა „ზილ 131“ და „SAZ-35-07“, რომელიც ამორტიზირებული და გამოუსადეგარია. აღნიშნული ავტომანქანები მუნიციპალიტეტს გადმოეცა ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 2 (ე. წურწუმია, კ. ლატარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ბ. ქირია, მ. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N40 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. თენგიზ აბაკელია
8. ვასილ კუკავა
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. ლევან ქავთარაძე
12. ფრიდონ შონია
13. იგორ გოგოლაძე
14. დიანა გულუა
15. მზია ლემონჯარია
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. ქეთევან ოდიშარია
21. კახა მიქაბერიძე
22. ბეჟან ქირია
23. გიორგი ხურცილავა
24. მერაბ ნადარაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ფილიპია
27. კახა ლატარია
28. ლეონიდე ლოლუა
29. გენადი ქამანაია
30. კობა კაკულია